# ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი

## 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

---

ქ. ზუგდიდი. რუსთაველის ქ. N79

მეტი ჩვენს შესახებ:
www.zugdidikids.ge

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

# სარჩევი


შესავალი ........................................ 3

დაგეგმილი ღონისძიებები ........................................ 4

განხორციელებული საქმიანობის ანგარიში ........................................ 6

ბიუჯეტის შესრულება ........................................ 7

წლიური შესყიდვების ანგარიში ........................................ 11


2024 წელი

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

# შესავალი

საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე მათი კვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის.

მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბავშვო ბაგა – ბაღის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას.

## ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს მართვაში გადაცემული აქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები , რომლის მიზანია საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება.
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 62 საბავშო ბაღი; მათგან 18 – ქალაქში, ხოლო 45– სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. ცენტრში დასაქმებულია 60 თანამშრომელი; სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 1153 თანამშრომელი, 3 976 ბავშვთა კონტიგენტით; 164 სააღმზრდელო ჯგუფით.
ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დაიგემა: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

ჩამოყალიბებული სახელფასო პოლიტიკის თანახნად, 2024 წელსაც გაგრძელდა შრომის ანაზღაურების ზრდა. საბავშვო ბაღის პერსონალს თანამდებობრივი სარგო გაეზარდათ 100 ლარით, ხოლო ადმინისტრაციულ პერსონალს 10 %–ით.



## ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

### 2021 წლიდან 70%-მდე გაზრდილი ხელფასები 2024 წლის მდგომარეობით




| | თანამდებობა | ხელფასი 2021 წ | ხელფასი 2022წ | ხელფასი 2023წ | ხელფასი 2024წ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საბავშვო ბაღის გამგე 1-2-3 ჯგუფიანი | 540 | 640 | 740 | 840 |
| | საბავშვო ბაღის გამგე 4 ჯგუფიანი | 580 | 680 | 780 | 880 |
| | საბავშვო ბაღის გამგე 5 ჯგუფიანი | 630 | 730 | 830 | 930 |
| | საბავშვო ბაღის გამგე 6 ჯგუფიანი | 660 | 760 | 860 | 960 |
| | საბავშვო ბაღის გამგე 7 ჯგუფიანი | 700 | 800 | 900 | 1000 |
| | საბავშვო ბაღის გამგე 8 ჯგუფიანი | 750 | 850 | 950 | 1050 |
| 2 | აღმზრდელი | 450 | 550 | 650 | 750 |
| 3 | შემცვლელ მასწავლებელი | 300 | 362,5 | 462,5 | 562,5 |
| 4 | მუსისკის მასწავლებელი | 420 | 457,5 | 557,5 | 657,5 |
| 5 | მზაობის ჯგუფის მასწავლებელი | | 450,0 | 550 | 650 |
| 6 | აღმზრდელის თანაშემწე | 410 | 460 | 560 | 660 |
| 7 | მზარეული | 380 | 430 | 530 | 630 |
| 8 | მზარეულის თანაშემწე | 350 | 387,5 | 487,5 | 587,5 |
| 9 | დამლაგებელი | 380 | 430 | 530 | 630 |
| 10 | მედდა | 370 | 407,5 | 507,5 | 607,5 |

## ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ეტაპობრივად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა გადამზადება „აღმზრდელ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“-ს მიხედვით გადამზადდა 150 აღმზრდელი და საბავშვო ბაღის გამგეები, 66 საათიანი ტრენინგ-კურსის დასასრულს, მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შედეგად მათ გადაეცათ სერტიფიკატები,რომელსაც ორგანიზებას უწევდა ტენდერში გამარჯვებული აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
აღნიშნული ტრეინგ-მოდულით დაგეგმილია, ეტაპობრივად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის სრულად გადამზადება.

საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი დარეგულირებულია "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით, "აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილებით.

კვების სტანდარტი დარეგულირებულია "ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით.

ჰიგიენის მიმართულებით "ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით,

სახანძორ უსაფრთხოება "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილების 17-ე მუხლი“

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

# ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №48 დადგენილების საფუძველზე ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა და დამტკიცდა 11 130 (თერთმეტი მილიონ ას ოცდაათი) ათ.ლარი .

დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 11 484 000 (თერთმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდაოთხი ათას) ლარს.

2024 წლის წლიური საკასო ხარჯი შეადგენს 11 482 496,96 (თერთმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათ.) ლარი.

2024 წელი

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

| ხარჯები<br>ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით | ბიუჯეტი<br>დამტკიცებული გეგმა წლიური /ათ.ლარებში/ | ბიუჯეტი<br>დაზუსტებული გეგმა წლიურო /ათ.ლარებში/ | შესრულება<br>2024 წლიური /ათ.ლარებზ ი/ |
|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 8716,5 | 8663,0 | 8662,70 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა სარგო | 286,0 | 441,0 | 440,80 |
| მივლინება | 0,0 | 1,20 | 1,10 |
| ოფისის ხარჯები | 200,0 | 869,6 | 869,50 |
| კვების ხარჯი | 1586,0 | 1104,2 | 1104,00 |
| ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯი | 8,5 | 10,4 | 10,30 |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯი | 130,0 | 323,2 | 323,10 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3,0 | 40,4 | 40,30 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 200,0 | 31,0 | 30,70 |
| სულ ხარჯები | 11130,0 | 11484,0 | 11482,5 |

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

მათ შორის,ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით :

- **შრომის ანაზღაურების მუხლი: 866 2725.14 ლარი;**
- **საქონელი და მომსახურეობა**
  - **შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო – 44 0751,90 ლარი;**

- კვების ხარისხის ამაღლების მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად საბავშვო ბაღებში განხორციელდა სამზარეულოს და საწყობების სტანდარტის შესაბამისად მოწყობა. ასევე მზარეულების გადამზადება. 63 საბავშვო ბაღებში ძალაში დარჩა მენიუ სამჯერადი კვებით, რაც ერთობლივად იქნა შედგელი და შეთანხმებული ააიპ ზუგდიდის ჯანდაცვის ცენტრთან.

- **სულ კვებაზე გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს : – 1 104 019,26 ლარი**
- **მივლინება : 1017 ლარი;**
- **ოფისის ხარჯების მუხლიდან გაწეული ხარჯი შეადგენს : 869 525,17 ლარს;**
- *საბავშვო ბაღებისთვის* დარიგდა საკანცელარიო საქონელი და სანიტარულ-ჰიგიენური მასალები, ასევე მომარაგდა სათბობი ნედლეულით

- **ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯი: 10 279,98 ლარი**
- **სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა : 323124,78 ლარი**

- **დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით:**
  სოციალური დახმარება შტატით მომუშავეთათვის – 40 313.88 ლარი;

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

**არაფინანსური აქტივები :**

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან განხორციელდა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შესყიდვა საბავშვო ბაღებისთვის ,რომლის ღირებულება შეადგენს 30 739.53 ლარს.

2024 წელს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შამგონაში დაასრულა, 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა და იმავე წელს ექსპლოატაციაში შევიდა.

ასევე დასრულდა რუხის, ჭითაწყარის, ქვემო კახათის, დარჩელის N1 საბავშვო ბაღისა და N5 საბავშვო ბაღების მშენებლობა,რომელიც უახლოეს მომავალში შევა ექსპლოატაციაში.

# განხორციელებული შესყიდვების წლიური ანგარიში

2024 წელს გამოცხადდა 31 ელექტრონული ტენდერი-უარყოფითი შედეგებით დასრულდა 7, დასრულებულებულ 24 ელექტრონულ ტენდერებში სავარაუდო ღირებულება შეადგენდა სულ 2 061 136 ლარს, ხელშეკრულებები გაფორმდა 2014766 ლარზეი. აღნიშნული ტენდერებში ვაჭრობის დასრულების შემდგომმა ეკონომიამ შეადგინა 46370 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 87 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 315584,80 ლარი. აქედან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გაფორმდა ერთი ხელშეკრულება 34518 ლარზე.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

## დასკვნა

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი, საქართველოს კანონმდებლობის  მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად, გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ,ზუგდიდის მერიის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით უზრუნველყოფენ, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

2024 წელი

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ანგარიში

2024 წელი